




bsðw̄sob ðesadg



Nº3 (34)

25 იანვარი, თოშაბათი, 2016 წელი

27 ՈԱՅԱՀԵ ԵՐԵՄԱՆԻ, ՑՈՀՐԱՅՈՒ!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, 27 იანვარს მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს ხევების დღეს აღნიშნავს. წმიდა ნინო წარმოშობით კაბადოვის ქალაქ კოლახედან იყო. მისი მამა - ზაბულონი საფრანგეთის განმანათ-



წელს გამოცხადდა. ამ დროს სამეფო ტახტი მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას ეპურათ.

შმიდა ნინოს ხელისას საქართველოს კლესია წელიწად-
ში ორჯერ დღესასწაულობს: 1(19) ივნისს მისი საქართველო-
ში შემოსვლა აღინიშნება, ხოლო 27(14) იანვარს - გარდაცვალება.

შეხვედრა “გვილის” ბენეფიციალებთან

საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა და ოფმჯდომარე ვაჟა შებითიძემ ნათლისდების ბრწყინვალე დღესასწაული ნათლისდების ხატითა და ტკბილუ-ლით მიუღოცეს მოხუცთა დღის ცენტრის „გვირილას“ ბენეფიციარებს. შეხვედრამ თბილ და უშეალო გარემოში ჩაიარა. ვაჟა შეტითოდე გაესაუბრა მოხუცებს დღის ცენ-



ის-ჩეხეთის მთავრობის მიერ განხორციელებული ინიციატივებიც გააცნეს, რამაც ცენტრს, უცხოელი ტურისტების მოზიდვით, დამატებითი შემთხვევლის წყარო მისცა.

სახელმწიფო მხრიდან სრუბლებს კეთილი ნება,
ხელი შევწყო მთხახლეობას დაკავებული მიწების და-
კანონებაში

მოსახლეობის მიერ თვითნებურად დაკავებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამტკიცების ვალდებულება გარდა საჯარო რეესტრისა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწებზე საკუთრების აღიარების კომისიას აქვს. იმ განსხვავებით, რომ ეს კომისია კერძო საკუთრების დამტკიცების უფლებას აძლევს მოსახლეობას, დაკარგული დოკუმენტების შემთხვევაში, ან 2007 წლამდე დაკავებული მიწის ნაკვეთის, მასზე მდგრად შენობა-ნაგებობებით. უფრო ზუსტად კომისიის მუშაობაზე, კომპეტენციაზე და მთელ რიგ პროცედურებზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის თავჯდომარე ნიკოლოზ კიკნაძე გვესაუბრა: -ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია ჯერ კიდევ

ხაშურის მუნიციპალიტეტი დიალიზე მყოფ პაციენტებს გვერდში უდგას

თირკმლის უქმარისობა, თირკმლის ფუნქციის მოშლა, სამწუხაროდ, არცოუ იშვიათი დაავადება. დღეს, როდესაც საოცრად განვითარდა მედიცინა თირკმლის გადანერგვა მრავალ კლინიკაშია შესაძლებელი. თუმცა, ეს ძვირადღირებულ ოპერაციად ითვლება და დონორის მოძებნაც არაა იოლი. ოპერაციამდე კი თირკმლის უქმარისობით დაავადებულ პაციენტს აუცილებლად ესაჭიროება „თირკმლის შემცვლელი“ ანუ სისისხლის გამწერდი აპარატის, ე.წ. დიალიზის გამოყენება. ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ პროცედურას დღისათვის 30-მდე პაციენტი საჭიროებს. თვით დიალიზის პროგრამას სახელმწიფო უზრუნველყოფა აქვს და იგი უფასოა პაციენტებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ ხაშურში არ არსებობს სათანადო აღჭურვილობრივ პაციენტებს და დაგილობრივ პაციენტებს დედაქალაქში ან მეზობელ რაიონში უწევდათ გამუდმებით იძულებული მგზავრობა (კვირაში თრჯერ სამჯერ,) რაც საქმიანოდ დიდ ხარჯებთან უყო დაბავთ.



2007-2008 წლებში შეიქმნა პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძვლზე და დამოუკიდებელია თავის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღებაში. კომისია შედგება 5 წევრისადგინებული მიღებაში.

საგანი, აქედან სამი საკრებულოს, ერთი გამგეობის და ერთიც შიდა ქართლის გვონიმიერის სამსახურის წარმომადგენლია.



—როდესაც საჯარო რეესტრში ვერ ხერხდება საკუთრების უფლების დამტკიცება, რა ხდება ამ შემთხვევაში?

—როდესაც საჯარო რეესტრში ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის დამტკიცება, გარკვეული დოკუმენტაციის არ ქონის შემთხვევაში, მოვგმართავენ მიწის აღი-




(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაუგრძნებს გამ-
გეობის საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების
უფროსს ლენა მაჭარაშვილს დედის **ქადაგის** გარდაცვალების გამ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს გამ-
გეობის საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების
უფროსს დედა მაქარაშვილს დევის **ქადაგიშვილის** გამო.

გაზეთ „ხაშურის მოამბის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების უფროსს ლევა მაკარაშვილს დედის შეს გარდავალების გამო.

ვირუსები 20–300 ნაომეტრის ზომის მიკროსკოპით გვიდლი ნაწილაკებია, რომელთაც ცოცხალი უჯრედების ინფიცირების უნარი გააჩნიათ. ბუნებაში ვირუსი ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც უჯრედული აგებულება არ აქვს. არაცოცხალ ბუნებაში ისინი ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელ არცერთ ნიშანს არ ავლენენ. ამის გამო მეცნიერები დიდი ხნის მანძილზე ფიქრობდნენ, მიეკუთვნებინათ თუ არა ისინი ცოცხალი ორგანიზმის



რ უ ს ე ბ ი
გასამრავლებლად ადამიანის, ცხოველის ან მცენარის უჯრედებს ირჩევენ. ვირუსის გამრავლების გამო, მასპინძელი უჯრედი იღუპება. დღესდღეობით ვირუსები ინფექციები აქტუალურ თემად ითვლება, განსაკუთრებით ბავშვებში. სასუნთქი ორგანოების დაავადებები, მათ შორის - მწვავე რესპირაციული ინფექციები, კველაზე ხშირად ბავშვებს ემართებათ, თანაც რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება. ვირუსის პრევენციასა და უსაფრთხოების ზომებზე უფრო ვრცლად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ექიმ პედიატრ ლია მათიავილს ვესტუმრეთ და გავესაუბრეთ.

—ქალბატონი ლია, რატომ არის მწვავე

რესპუბლიკური ინფორმაციული გავლენის განვითარების ასე გამოხატული უფროსებთან შეღარებით?

- მწვავე რესპირატორულ-ვირუსული ინფექციე-

ბი ეს არის დიდი ჯგუფი გადამდები ვირუსული დაავადებების, რომლებსაც ერთი საერთო ნიშანი აქვთ – ინფექციური ტოქსინოზი და უპირატესად სასუნთქი გზების დაზიანება. ამ ჯგუფში შედიან გრიპი, რინოვირუსი, ადენოვირუსი და სხვა ტიპის ვირუსები. წამყვანი მნიშვნელობა აქვს ვირუსის ტოქსიკურ მოქმედებას სასუნთქი გზების ლორწოვან-გან-გარსებზე. მთავარი მიზეზი ბავშვების სუსტი თავდაცვითი სისტემა. რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო სუსტი აქვს იმუნური სისტემა.

როგორ დავიცვათ ბავშვის
უხაფტობოება ძოხალოდნელი
კირუებისაგან?

მა და მით უყვრო იოლად ერევა ვირუსი. ვირუსის გავრცელებას შემდეგი ფაქტორები უწყობს ხელს: სანიტარიული წესების უგულებელეფონება, არახელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობები, არარაციონალური კვება და დღის რეჟიმი, არახელსაყრელი ეკოლოგიური გარემო და ა. შ.

— ძირითადად რომალი ვირუსული ინ-ფერციის შარქობს ბავშვებში?

—ყველაზე ფართო გავრცელებული რესპო-

რაიცული ვირუსული დაავადება მწვავე რინიტი, გამოწვეული რინოვირუსით ან მისი მონათესავე ვირუსებით. იგი შედარებით იოლი გადასატანია, გართულებებს არ იწვევს და უკალოდ ქრება. ახალშობილები ავადდებიან იმ შემთხვევაში, როცა დედას არ გააჩნია იმუნიტეტი დაავადების გამოწვევის მიმართ. —ძირითალად რა სიაჟორებით გამოიხატა?

— კლინიკური სიმპტომებიდან სურვიც ცხვირიდან უხვი

გამონადენით, მოუსვენრობა, ძილის დარღვევა, უმაღლება, რაც ცხვირით სუნთქვის გამნედლებით აიხსნება.

— რომორ დავისვათ ბავშვი ვირუსებისაგან,

რომორი პრევენციული ზომები უდება მიღმონ

ခမြေနည်းလာ?

—პირველ რიგში, ყოველდღიური პიგიენური წე-

სების დაცვა დაგეხმარებათ დაიცვათ თავი გაციების გამომწვევი ვირუსებისგან. ხელის ხშირი დაბანა არის ვირუსისგან თავდაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება. ხელის და-

გიორგი პაპას ოდნავ მოქუცება თვალები, პა-
მაგში მოქანავეს ხან მზის სხივები, ხან კიდევ
ჩრდილი ეფინებოდა დანაოჭებულ სახეზე...
რას არ იხსენებს, რას არ გვიყვება. ვინ იცის, რამდენი
ხანია, ასე გულგახსნილად არავისოთან უსაყბრია...
მინდა, მისი წლოვანება ჩავინიშნო, გიორგი პა-
პას გაჩერებ და ვეკითხები რამდენი წლის არის.
იგი მხერებს იხტავს, შემომხედავს და გაკირვებუ-
ლი მკასახობს:

— არ ვიცი შვილო!

ახლა გაკირვებული მე შევურებ, თან ვფიქრობ, ალბათ სუმრობს, როგორ თუ არ იცის, მაგრამ მისი

გილობრივი უფრატებელაშვილის ამბავი

საქევე გაკირვებული თვალები მეუბნებიან, რომ გი-ორგი პაპამ მართლა არ იცის თავისი წლოვანება. საუბარს ვაგრძელებთ. თითქმის აზარტშიც შევიდა, კვება და ყვება რაც უნახავს და მოუსმენია, თანაც უფრო და უფრო საინტერესოდ. ვაჩერებ და ისევ წლოვანებას ვეკითხები, მინდა, როგორმე ვათქმევინო ასაკი, მაგრამ იგი კვლავ მხრების აჩევით მპასუხობს, რომ არ იცის რამდენი წლისაა. რომელ წელს დაიბადა, ამაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ისევ საუბარს გიყებოთ.

ასე გრძელდება კარგა ხანს, ინტერესი თან-
დათან მიძლიერდება გავიგო გიორგი ულუმბე-
ლაშვილის ასაკი, მაგრამ მე ჩემი და იმან თავ-
ისი, ვერა და ვერ ვათქმევინე გიორგი პაპას
თავისი წლოვანება. უფრო ალბათ ვერ გაიხსენა.
მერე თითქოს გამოსავალი მოვქმენე და
ვეკითხები, გიორგი პაპა, იქნებ რამე გაიხსე-
ნო მნიშვნელოვანი შენი ცხოვრებიდან და
გახსოვდეს მაშინ რამდენი წლისა იყავი.
მოხუცი უცბად გამოცოცხლდა, შემომხედა და ...
- ჰო, შეილო, ნეფელ რომ ჩამოიარა საქო-

ნელს ვმწერმადი, ცხრამუქაში მოუწყვეს
შეხვედრა, მამახემმა არ წამიყვანა, იმდე-
ნი ვიტორე რომ ... მაშინ ათი წლისა ვიყავი.
— გიორგი პაპა, 105 წლისა ყოფილხარ, — შევძახე
გახარებულმა, — 1878 წელს ხარ დაბადებული, —
უცბად გამოვიანგარიშე მისი წლოვანება, მაგრამ
შევატყე, რომ ამას მისთვის არავითარი მნიშვნე-
ლობა არ პქონდა, დიდი ხნის წინ დავიწყებოდა...
სურამის გვირაბის მშენებლები, რომლებიც გვი-
რაბს ორი მხრითან — წილითან და ბათონითან

ბანა უნდა მოხდეს ყოველი ჭამის წინ და შემ-
დეგ, ასევე ხველის ან დაცემისგას შემდეგ.

-ქალგატონი ლია, გოლო ლროს ლორის
გრივის შემთხვევა დაფიქსირდა, უდია 30-
ლოდოთ ხაშურში ეკიდების გავრცხალება?

– მწვავე რესპირატორული ვირუსული დაავადებები ვირუსით გამოწვეული კონტაგიოზური ჰაერ-წვეთვანი გზით გადამდები დაავადება. დაავადების სიმძიმე მერყეობს მსუბუქიდან მშიდემდე. დაავადებას ეპიდემიური ხასიათი აქვს. ვირუსი სამი ტიპისაა. ამჯამად გრიპის **H1N1** და **H3N2** ქვეტი პებია გამოვლენილი, ამ ეტაპზე მოცირულარე სეზონური გრიპის **H1N1** ვირუსი წარმოადგენს იმავე ვირუსს, რომელმაც გამოიწვია 2009 წლის ანდეგმია. პანდემია შეიძლება მოხდეს წელიწადის ნებისმიერ დროს. პანდემიად ითვლება ისეთი შემთხვევები, როცა ყოველ 100 000 მოსახლეზე არის დაავადების 500 შემთხვევა. ჩვენთვის ეს ციფრი 250 შეადგენს. ვირუსული ინფექცია გადაეცემა სხვადასხვა გზით, გრიპის ვირუსი ძირითადად მოქმედებს სასუნთქი სისტემის ლორწოვან გარსზე. გრიპის ვირუსის პირველადი ლოკალურაციის ადგილიდან და დაშლის პროდუქტები ზედაპირული ეპითელიდან სვდებიან სისხლში და ზოგადად ტოქსიკურ მოქმედებას ახდენენ. თუმცა, ღორის გრიპის შემთხვევა არ ყოფილა ჩვენ რაიონში. ამ ეტაპზე ღორის გრიპის ვირუსი არ გვმუქრება, საშიშროებასაც არ უნდა ველოდიო.

— მოგვიან კასტრის ლინიუს გმილი, ან გეგ-
ტომებით ხასიათდება?

მ. სამებავი

წრიდნენ, 1888 წელს შეერთოდნენ. ეს იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III-ც კი ჩამოვიდა გვირაბის სახახავად. სწორედ მან გამოიარა იტრიაზე (ასე დადიოდნენ მაშინ მატარებლები), ცხრამუხაში ტრიალ მინდორზე, ნახვებრებს, რომ ეძახიან, კარვების ქალაქი იყო გამართული. იმპერატორთან შესახებ ედრად მთელი კავკასიის წარჩინებულებს, სამხედრო ნაწილებს და მათ გენერალიტეტს აქ მოვყარა თავი. ახლომახლო სოფლებიდანაც დიდალი ხალხი მოსულიყო მის სახახავად. ცველას სურდა თვალი შეეგლო რუსეთის იმპერატორისათვის. დიდი ზარზეიმით შეხვდნენ გაჩირადნებულ ნახვებრებზე ალექსანდრეს, რომელიც შემდეგ ბორჯომისაკენ გაემგზავრა. სწორედ ამ შეხვედრაზე არ წაიყვანეს პატარა გიორგი ულუმბელაშვილი, რომლის სოფლისაც ახლადრო გაჩერებულიყო, აღარც თავისი წლოვანება ასხოვდა და გარესამყაროსთანაც აღარ ურთიერთობდა. მისი ტოლი და სწორი დიდი ხანია ამ საწუთოს გასცლოდა. რაღაც დიდი მანძილი ჩამდგარიყო მასსა და ეზოში მოთამაშე გოგობიჭებს შორის. გიორგი პაპას დროს შეგრძნება დაკარგვოდა და მაინც მისთვის მიენდო თავი. იმავე 4 აგვისტოს, ჩუმათელეთის ეკლესიაც მოვინახულეთ. მის გარშემო საფლავები მიმობნებულიყო. ეკლესიის აღმოსავლეთით ორმა საფლავმა მიიჟრო ჩემი ყურადღება. ჩვეულებრივი საფლავის ქვები იყო აღრენ რომ ადგამდნენ მიცვალებულებს. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა ამოვიკითხე: „1911 წელს მარიამობის თვის 3 გარდავიცვალე დავით ალექსის ძე ულუმბელაშვილი 30 წლის, მანქანის მიერ და დამრჩა უნუგეშოდ მეუღლე და ორი ძე“. არ ვიცი 1911 წელს იტრია-ჩუმათელეთში რა მანქანები მოძრაობდნენ, მაგრამ ფაქტია რომ დავით ალექსისი ძე ულუმბელაშვილი რაღაც მანქანის მსხვერპლი გამხდარა. დავით ალექსის ძე ულუმბელაშვილისათვის დიდი ხნის წინ გაჩერებულიყო დრო და ჩუმათელეთის სასაფლაოზე განისავენებდა. მეორე - გიორგი ალექსის ძე ულუმბელაშვილისათვისაც გაჩერებულიყო დრო მაგრამ იმ განსხვავებით რომ იგი იტრიაში ჯერ კიდევ თავის სახლში იმყოფებოდა და პამაკში ისვენებდა. ასეთი ყოფილა დროსა და მისი განგების ნება. გვინდა, თუ არ გვინდა, ცველა მას ვემორჩილებით.

თამაზ ლაცარები

ჩვენ სტრესულ და დაბაბულ
გარემოში ვცხოვრობთ. ადამიანის
ცნობიერება კი მიმართულია იქით,
რომ რაც შეიძლება მარტივად დადაწყიოს
თავი სტრესს და თავი აარიდოს შფოთვას . ხშირად ამისათვის ალკოჰოლს გამოიყენებენ, რადგან ის დროებით გვავიწყებს პრობლემებს და გვიმცირებს სხვადასხვა მომეზით გამოწვეულ უქმაყოფილებას.
ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც არ-სებობენ ადამიანები, რომელებიც მოიხმარენ ალკოჰოლს განწყობის გასაუმჯობესებლად და პრობლემების დროებით დასავიწყებლად, ამაზე გავლენას ახდენს მასობრივი უმუშევრობა და სიღუხხირე, რომელიც კიდევ უფრო აქვთოთებს ადამიანის თვითშეფასებას და მეტად უბიძგებს მას გაეცეს რეალობას, რადგან ის მეტად მტკიცნეულია. ადამიანები



კი გამოსავალს ალკოჰოლში პოვალობენ. ძირითადად ალკოჰოლმოხმარება იწყება მეგობრების წრეში უწყინარი გართობით, დროთაგანმავლობაში კი ის სასიამოვნო ხდება და იწვევს დამოკიდებულებას. არსებობს კვლევები, რომლის მიხედვითაც ალკოჰოლის მცირეოდენი მოხმარება სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის ამცირებს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქისისტემების დაავადებათა რისცს, გარდა ამისა, ცოტა ალკოჰოლი ხელს უწყობს თავის ტკინისათვის სისხლის მიწოდებას, თუმცა ალკოჰოლით მიყენებული ზიანი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე სარგებელი. მაშა ასე, გავეცნოთ იმ საფრთხეებს, რომლებსაც ალკოჰოლი „გვირდება“, მისი ავადმოხმარების შემთხვევაში. რამდენი ითვლება ნორმადანურა რაოდენობა ითვლება ავადმოხმარებად? პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ თუ რა რაოდენობით მიღებაა გადაჭარბება და რა რაოდენობაა საფრთხის შემცვევა

(ପାତ୍ରବିଧିକୁଳେ)

სახელმწიფოს მხრიდან არსებობს კეთილი ნება, ხელი შევუწყოთ მოსახლეობას თვითნებურად დაკავებული მიწების დაკანონებაში. როგორ ხდება რეაგირება შემოსულ განცხადებაზე და რამდენად დიდია შანსი ამ განცხადების დაქმაურთისას?

სახელმწიფო მხრიდან სრუბობს კეთილი ნება,
ხელი შეუწყოს მთხახლეობას დაკავებული მინების
დაკანონიზების

—თავდაპირველად მოგვმართავენ განცხადებით, რასაც თან უნდა ერთ-კოდექს საკადასტრო აზომვითი ნახაზი, პირადობის მოწმობის ასლი, მოწმე-თა ჩევნება ნოტარიულად დამტკიცებული, ორთო ფოტო, მონაცემები მიწის საფასურის დასადგენად. საჭიროების შემთხვევაში ცნობები საჯარო რე-ესტრიდან ტექნიკური აღრიცხვის და რეგისტრაციის შესახებ. კომისია გა-ნიხილავს განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას. რაიმე ჟჭვის შემთხვევა-ში აპოვარო და ამომზა უაღმობთ მოვამართობას დამაბოთ დასუბის

– საშუალის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტერიტორიაზე ოვითნებურად და-კავებულ მიწებზე საკუთრების უფლების აღიარების კრმისის მიერ 2015 წლის განმავლობაში განხილულ იქნა 138 განცხადება მოქალაქეთა მიერ ოვითნებუ-რად და აკვებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე

ლი ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

ალკომოდით გამოწვეული შედებები დამოკიდებულია ასაკზე, სქესისა და გენეტიკაზე. მამაკაცებისათვის კვირაში 14 ერთგული (1 ერთგული =450 გრამს) ითვლება ნორმად, ხოლო ქალებისათვის- 4. მიუხედავად ნორმათა ასეთი სხვაობისა ქალებში ბევრად უფრო სავალალო შედებებს იწვევს ალკომოდის ავადმოხმარება. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს. ორომ ყველა ადამიანის ორგანიზმი

და უფრო ხშირად ისტება ალკოჰოლის მომხმარებლებში ალკოჰოლით გამოწვეული ნეირო-კოგნიტურ დარღვევის დიაგნოზი და ალკოჰოლთან დაკავშირებული დემენცია ვიზუალური მეცნიერებები ასკვინია.

ରୋଧ ଗାନ୍ଦାଜୁଟରେସ୍‌ଯୁଲ ନୀବିନ୍ କାନ୍ଦଗର
ଦ୍ଵୀପରେ ଶମା ଆଗନ୍ତେବେ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲୋକ ହୀଲୁ
ରୋମେଲୋଚ ଆଶ୍ରେଖେ ଅଗେବେ ଲାଗେଗମଗୋଟିଏ
ଜୁନାର ନ୍ୟେ, ମିଥିଲାଲ୍ସେବୀରେ ଶ୍ରେଷ୍ଠବେଦାଶା ଲାଗେ
କାନ୍ଦଗରାଧାରେସ୍‌ରୀପିରେ ହୀଲେଖିଗୋଟିଏ ଲାଗେବେ
କାନ୍ଦଗରାଧାରେସ୍‌ରୀପିରେ ହୀଲେଖିଗୋଟିଏ ଲାଗେବେ

କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ର ମହିନୀ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ପାଇଁ ଆମେ କିମ୍ବା ଶୁଭେଚ୍ଛାକ୍ଷରଣ କରିବାକୁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ପରିବର୍ତ୍ତନ

ინდივიდუალურია და ზოგიერთისთვის შესაძლოა ბევრად ნაკლებმა დოზამაც კი გამოიწვიოს ინტრექსიკაცია და სხვა პრობლემები. ასევე გაურკვეველია თუ რამდენხნიანი სმა იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას.

ლეგბებს თავის ტვინში. აქედან
გამომდინარე, მაქსიმალურად
უნდა ვაკონტროლოთ მიღუ-
ბული ალკოჰოლის ოდენობა.

ალკომალის გადაჭარბებით
მოხმარებამ შეიძლება გამოიწვი-
ოს ძლიერი ინტექსიკაცია და
თავის ტვინის ფუნქციონირების
მკვეთრი შეფერხება, მაშინაც კი,
თუ ადამიანი არ სვამს ხშირად
და არ არის ალკომალდამოკ-
იდებული. მეტიც, ალკომალით
მოწამვლას შეუძლია გამოი-
წვიოს ალცეპიმერის დაავადება,
სხვადასხვა სახის დემენციები
(საზოგადოებაში გავრცელე-
ბულია სკლეროზის სახელით)
და ასეთაროს დაბერების პროცესი.

თავის ტვინი შედგება რუხი
და თეთრი ნივთიერებისაგან, რუხი
ნივთიერება, იგივე ქერქი არებ-
ულიორებს სწავლის, მესსიერების
და გადაწვეტილების მიღების
პროცესებს, ასევე სოციალურ ქცევ-
ას, ალკოჰოლის ჭარბი რაოდენო-
ბა იწვევს რუხი ნივთიერების შემ-
ცირებას ანუ ნეირონების კვდომას.
შესაბამისად, აღნიშნული ფუნქციე-
ბი უარესდება. გარდა ამისა, სუსტ-
დება თეთრი ნივთიერების აქტივო-
ბა, რომლის ფუნქციაცაა თავის
ტვინის ნაწილების ერთმანეთთან
დაკავშირება. ასაკის მატებასთან
ერთად მიმდინარეობს ნეირონების
ინტენსიური კვდომა, ალკოჰოლი კი
ამ პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს.
ხანგრძლივი ალკოჰოლმოხმარება
ასევე აზიანებს ტვინის იმ სტრუქ-
ტურებს, რომლებიც პასუხისმგებელია
შფოთვის მართვასა და ემოციების
შეკავებაზე, არღვევს ძილის რეჟიმსა
და აქვს მრავალმხრივი უარყოფითი
რეაქცია ორგანიზმზე. სულ უფრო

დამოკიდებული ადამიანები ხშირ
შემთხვევაში არააღეკვატურად
წერს ეკატერინე ფორტიერი, პარ
ვარდის უნივერსიტეტის ასისტენტზე
პროფესორი, რომელიც მუშაობ
აღნიშნული მიმართულებით. უნდა
აღინიშნოს, რომ შებდის წილ
საკუთრივად და განა

საქართველოს ხატიფი
სტრუქტურაა და
მისი ჩამოყალიბე-
ბა ყველაზე გვიან
21 წლის ასაკი-
სათვის სრულ-
დება, აქედან გა-
მომდინარე, ის
ადგილად სუს-
ტდება და ზიან-
დება, ალკოჰო-
ლის მეშვეობით.
კიდევ ერთი
პრობლემა, რო-
მელსაც ალკოჰო-
ლის ქრონიკული
მოხმარება იწვევს,
არის ვერნიკე -
კორსაკოვის სინ-
დრომი, რომელიც
გამოწვეულია 1



წლის ასაკზე აღრე აქვთ შანსი, რომ
მათი ტენის გარკვეულმა ნაწილმა
დაიწყოს შექვეყნი პროცესი და
თეორი ნივთიერების ნაწილი აღ-
დგეს. 50 წელი არის კრიტიკული
ბარიერი, რადგან ამ ასაკის შემდგე
მიმდინარეობს ნეირონების კვლე-
ბა და მათი აღდგენა შეუძლებე-
ლია ჯანმრთელ ადამიანებთანაც კი.
ამიტომ, გირჩევთ, კარგად
დაფიქტდეთ იმ შედეგზე, რასაც
ხანგრძლივ პერსაკეტივაში აღ-
კოცლი გვიმზნადებს. დირს კი
ხანმოკლე სიამოვნება და განტვირთ-
ვა უამრავი დაავადების რის ათ?!

კანონის დამტკიცების მიზანის
განვითარებისა და სიცხიზღეს

თსუფსიქოლოგიისადაგანათლების
მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-4
კურსი, ფსიქოლოგის მიმართულება

უფლების აღიარების შესახებ. განხილული განცხადებებიდან დადებითად დაკმაყოფთა 112 მდგრადადა აქციაზე, სა მაგ თვითა მომართა კომიტეტის

— რამდენადაც ვიცი, საკუთრების აღიარების შემთხვევაში, არსებობს სახელწიფო გადასახადი (რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტში შედის) და მისი რაოდნობა არისაზოგადი, აღიარებულობრივი, შესასამისათ

—თვითნებურად და-
კავებულ მიწაზე სა-
კუთრების უფლების
საფასური შეადგენს
სასოფლო—სამეურნეო
დანიშნულების მიწის
ყოველ პექტარზე სა-
კუთრების უფლების
აღიარების მოთხ-
ოვნის დროისათვის
საქართველოს საგა-
დასახადო კოდექსით
განსაზღვრულ მიწაზე
ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ასმაგ ოდენობას, რაც შეადგენს
79 ლარს. ხოლო ხაშურის ცენტრალურ, შუალედურ თუ პერიფერიულ უბ-
ნებში უპვე კამით განსაზღვრება და 2.43-4 ლარს შეადგენს. სოციალუ-
რად დაუცველი მოსახლეობა თავისუფლდება სახაზინო გადასახადისგან.

თ. ხსვაბიძეიოგი

ველით მკითხველთა და ლიცენზიერებულ პირთა გამოხატურებას

ცერებილი ანდაზაა: მამალა თქვა: ეს ვიყივლებ და გათხვება დმორთმა იცის.

2000, ჩემი წერილის გამოქვეყნებით საარჩევნო სისტემაზე გავრი არავერი გვიცვლება, მაგრამ ისიც 2000, ორ წვენი გვიცვლიური რაიონის ხელმძღვანელობის სათავეში მოექცევე მაღალი ზეორებისა და დიდი ინტელექტუალური აოტონომის მროვე ადამიანები, რომელიც, თუ საჭიროდ ჩატვლიან ფარგლებით მინადადებას გათვალისწინებას, არ დატოვებენ რეაბილიტაციის გარეშე და გაახმოვანებენ სათანადო იცნებისაში.

ეს აცნებირი ვარ და ვერ ავტობი ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელის ხასიათებს და მის გადიმებაზე არ გადავიხსარებ, მის მოღვაწეზე ცოდნებს ვერ გადავოვდვი. ანდა, რომელიც ჩამ აზრებს არ შესაბამება, ტაშის ცემით ხელისგველებს არ გადავიტყავებ, რადგანაც გუდიები მოღიან და მიღიან, ჩემი სამშობლო კი, მოუმსრიგებელი აორგლებების გამო, მუდმივი განსაცდელებას რისკების მცემ რჩება. ამ სიტუაციაში, მე, როგორც კონსტიტუციით აღზრდილი უფლებების მროვე მომალაქი, ვერ დაგრჩევი მაყურებლის როლში და თავს ვალდებულად ვთვლი, გამოგთვა ჩემი მოსაზრებანი და მინადადებანი საარჩევნო საკითხებით დაკავშირებით, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. თუ მსოფლიოში არსებობს მისაბაძი დემოკრატიული ქვეყანა და ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთი, რა გვიშლის ხელს, რომ მათი კონსტიტუცია ავილოთ მოდელია და საფუძვლია, მივუსადა გოთ ეროვნული ტრადიციები და შევისუმავოთ სახელმწიფოს ისეთი ძირითადი კანონი, რომელიც გაუძლებს ათწლეულებს. ჩვენი ტრადიციებით, ადამი ადამზე და ევა ევაზე არ ქორწინდებიან და ნურც ნურავინ მიგვითითებს ასეთი უზნერბის დაკანონებისაკენ. გადაგვარებისკენ მომწოდებლები გავიყვანოთ ნახირში და ვაჩვენოთ, რომ ხარი ხარს არასოდეს ეკაკლუცება.

2. პროპორციული ან მაურიტარული წესით არჩევნების ჩატარების დაწესებისას გავითვალისწინოთ, რომ მაურიტარული წესით არჩეული დეპუტატი უნდა იყოს საარჩევნო ოლქის მუდმივი მცხოვრებელი, რომელიც იცნობს ადგილობრივ მოსახლეობას, გარემოს, საჭიროებებს და ა.შ. ხოლო პროპორციული წესით არჩევის შემთხვევაში, გამარჯვებულ პარტიას შეუძლია, საარჩევნო ოლქში ისეთი დეპუტატი ჩაგვისვას სიით, რომელიც ნამჟოფიც კი არ არის ამ რაიონში. ამის გათვალისწინებით მთავარია, დეპუტატის კომპეტენტურობა და არა მისი არჩევის წესი.

3. უნდა აღდგეს და დაკანონდეს დეპუტატის გაწვევის წესი. ნერბისმიერი დეპუტატი, რომელიც არ ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, ან ჩაიდენს შეუფერებელ საჭიროს, აუცილებლად უნდა მოვაშოროთ წარმომადგენლობით ორგანოს, მისი შემცვლელი კი მოიძებნება.

4. ისეთ საარჩევნო ოლქებში, სადაც პირველ ტურში ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ამომრჩეველთა ნდობას, მიზანშეწონილად მიმართა განმეორებითი ტურის ჩატარება, მხოლოდ იმ ოლქებში, სადაც პირველ და მეორე ადგილზე გასული კანდიდატების მიერ დაგროვებულ ხმათა შორის განსხვავება შეადგენს 10000 ხმას, ანუ ამომრჩეველთა დაახლოებით 20 პროცენტს, ან არჩევნებში მონაწილეთა 20 პროცენტს.

ეს წესი წინააღმდეგობაში მოდის 50%-იან გარეორთან, მაგრამ აშკარაა, რომ მეორე ტურში გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელმაც ასეთი დიდი რაოდენობით გაუსწორ მეტოქეს, თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 50%-იანი გარეორის დაწესებით მეორე ტურის ჩატარება საჭირო გახდება მრავალ ოლქში და დაიხარჯება უდიდესი ეროვნია და თანხა, რასაც აჯობებდა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიეცეს უფლება გამარჯვებულად გამოაცხადოს 10000 ხმის უპირატესობით მომგები პირი, ხოლო სადაც ხმათა რაოდენობის განსხვავება შეადგენს ნაკლებს, იმ საარჩევნო ოლქში ჩატარდეს განმეორებითი არჩევნები.

5. მიზანშეწონილად ვთვლი, დაწესდეს არჩევნებში მონაწილეობის საგალდებულობა. მოქალაქე, რომელიც მრავალნაირ შეღავათებს ითხოვს სახელმწიფოსაგან, რატომ არ უნდა უკეთებდეს რეალიზაციას კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას არჩევნებში მონაწილეობის შესახებ? ასეთ პასიურ მოქალაქეებთან ალბათ საჭიროა მორალის შესხენება: რას უკეთებ შენს სახელმწიფოს და რას ითხოვ მისგან?

6. არავის აქვს იმის უფლება, ხალხს დააძალოს დეპუტატის არჩევა პროფესიის მიხედვით. ხალხი თავისი შეხედულებისამებრ აირჩევს ან ხარაზს, ან აკადემიკოსს. გადახედეთ ქვეყნის დღევანდელობას, რომელი რანგის მოქალაქეებში აღმოჩნდნენ ქვეყნის მოღალატენი. დაბალი ფენის ადამიანების კისერზე გადადიოდა და გადადის ქვეყნის გადარჩენის მთელი სიმძიმე. ნუთუ, არაფერს მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის უოფილმა პრეზიდენტმა, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა, მაშინ როცა დაბალი ფენიდან გამოსული ჯარისკაცები სიცოცხლის ფასად სისხლით იცავენ სამშობლოს ინტერესებს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ.

7. საჭიროა აღსდგეს კანონპროექტების სახალხო და არასაჭაბუდებული განხილვის წესი. მოსახლეობაში დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილ-ჩაბუდებული, რომელსაც მოსმენა და რეაგირება სჭირდება.

8. გვაქვს მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტები ათეულობით კათედრით, კვლევითი ინსტიტუტები, გვევას მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები, უცელა დარგის საუკეთესო სპეციალისტები, ნუთუ, მათ არ შეუძლიათ შეიმუშაონ და რეკომენდაციები მიაწოდონ ხელისუფლებას კანონპროექტების თუ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების უკეთესობისაკენ განვითარების გზების შესახებ?

რატომ არ შეიძლება ხელისუფლებამ მათ ბაზაზე შექმნას საკონსულტაციო კომიტეტები, თუნდაც საზოგადოებრივ საწყისებზე? ტიტულები, დიდი ხელფასები და კომფორტი რომ უნდა, განა არ შეიძლება მეცნიერებაკები სასწავლო პროგრამას გასცდნენ და თუნდაც უსასყიდლოდ, აკეთონ ქვენისათვის სასარგებლო საქმე? ანდა რა გაუჭირდა სახელმწიფოს ისეთი, რომ მატერიალურად წაახალისონ ხსენებული კომიტეტის წევრები? თუკი ათობით დეპუტატი, მხოლოდ კენჭისერაში ღილაკზე თითოს დაჭირისთვის იღებს მაღალ ანაზღაურებას, რატომ არ შეიძლება პარლამენტი უნდა გაგაძლიეროთ სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯუფებით.

9. საჭიროდ მიმართა, დადგინდეს მოქალაქეთა მიღების ისეთი წესი, როცა ყოველი თვის რომელიმე რიცხვი, მიუხედავად უქმე და დასვენების დღეებისა, გამოცხად-

დება დეპუტატის დღედ და ამ დღეს დეპუტატი უნდა ხვდებოდეს მოქალაქეებს ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ან ე.წ. სადეპუტატო ბიუროში. სხვასაკითხით, რისიგადაწყვეტა შეუძლია დეპუტატის, რომელსაც შუამავლის გარდა, არავითარი ფინანსური ბერკეტები არ გააჩნია გაჭირებულის დასახმარებლად. მე ვიცი ფაქტები, როცა ცალკეული დეპუტატის ტარტიას შეუძლია, საარჩევნო ოლქში ისეთი დეპუტატი ჩაგვისვას სიით, რომელიც ნამჟოფიც კი არ არის ამ რაიონში. ამის გათვალისწინებით მთავარია, დეპუტატის კომპეტენტურობა და არა მისი არჩევის წესი.

10. საჭიროდ მიმართა, კანონით განისაზღვროს თუ რამდენჯერ შეიძლება ერთი და იგივე პირი არჩეული იქნას პარლამენტის დეპუტატად. თუ ეს პერიოდულობა დადგენილია პრეზიდენტის თანამდებობისათვის, რატომ არ შეიძლება დადგინდეს ასეთი წესი დეპუტატისთვის? რა დამსახურებით ზიან 20 წლი და მეტიც ქვეყნის უმაღლეს ორგანოში?

ასე კი მინდა ვინმეტ პასუხის შემდეგ კათევს:

1. შეუძლიათ თუ არა 21 წლის ცხოვრებაში გამოუცდელ გოგო-ბიჭებს მართონ ქვეყანა?

2. იგეგმება თუ არა დეპუტატობის კანდიდატისთვის ასაკის ქვედა ან ზედა ზღვარის დაწესება?

3. დეპუტატად 21 წლის გოგო-ბიჭების არჩევა ხომ არ არის დაკავშირებული პროტეციული მიზანიზმთან, მაამებლობასთან, ოჯახის წევრების გავლენასთან, ფულთან ან სხვა მაჭინაციებთან?

4. რატომ არ შეიძლება საარჩევნო ბიულეტენების (ხმების) დათვლას დაესწრონ არა მარტო ნებადართული, არამედ სხვა დაინტერესებული მოქალაქენიც?

5. თუ მეტროში, ავტობუსში, სამარშრუტო მიკროავტობუსში, მაღაზიანში, ბანკებში და ა.შ. შეგვიძლია სპეციალისათვის სარგებლობა, რატომ არ შეიძლება გამოვიყენოთ ანალოგიური ბარათები ხმის მიცემის დროს?

6. რა უფრო მნიშვნელოვანია: როგორი წესით ავირჩევთ თუ როგორ დეპუტატს ავირჩევთ?

7. არის თუ არა უბადერუკი, ათეულათასობით ამომრჩეველ

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტი-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

ნ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით

გაზეთი იბეჭდება ობილისში.

რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.